



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 146

2016 წლის 19 დეკემბერი  
ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი  
პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდის ხელშეწყობის, მათი ჰარმონიული განვითარების და სკოლისათვის ბავშვთა მომზადების მიზნით საჭიროა დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი 2017 წლის პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამა საერთო ბიუჯეტით 1 460 000 (მილიონ ოთხას სამოცი ათასი) ლარი. დანართი №1 თან ერთვის ორ ფურცლად.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე

**ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში  
განსახორციელებელი პროგრამა**

სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“. გაერთიანება მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს- №1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, ვაყის საბავშვო ბაღს და რვა ალტერნატიულ სააღმზრდელო ჯგუფს. მათ შორის, ხაშურში განთავსებულია №1-№8 საბავშვო ბაღები, დაბა სურამში-№9, სოფელ ცხრამუხაში-№10, სოფელ გომში-№11, სოფელ ოსიაურში-№12, სოფელ ალში-№13, საბავშვო ბაღი სოფელ ვაყაში და ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფები სოფლებში: ხცისში, ნაბახტევში, ფლევში, ქვიშხეთში, ბიჯნისში, ტეხერში, წრომში და წადვლში.

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას.

**პროგრამის არსი**

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებას სასწავლო და არასასწავლო პერიოდში.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს გაერთიანებაში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და ბავშვთა კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

**პროგრამის ხანგრძლივობა**

2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 1 460 000 ლარი, რაც გათვლილია 1 875 ბავშვზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მის მიერ მოწოდებული მონაცემები ბავშვთა რაოდენობის შესახებ.

დაფინანსება განხორციელდება ყოველი თვის ბოლოს საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ წარმოდგენილი ბავშვთა ფაქტიური დასწრების შესაბამისად.

#	დასახელება	ბავშვთა რაოდენობა	კვების ხარჯი	შრომის ანაზღაურება	სხვა დანარჩენი	სუბსიდია სულ წელიწადში
1	საბავშვო ბაღების გაერთიანება	1 875	381 650	809 154	269 196	1 460 000

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

\_მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურების ხელმისაწვდომობა

\_ მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება.

\_სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შეფასების ინდიკატორი:

- აღსაზრდელთა რაოდენობა